ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 6

“ 30 ” იანვარი 2026 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ. 405410648) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ 405410648) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №26.21.14 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.570) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ. 405410648) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე